<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენის კოსტა მაისურაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს სპორტსმენის კოსტა მაისურაძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ვოსტა მაისურაძის ქ
01.01.834
01.01.834
01.01.834
01.01.834
01.01.834
01.01.834
72.16.09.850
72.16.27.059
72.16.09.697
72.16.09.798
72.16.09.655
72.16.09.799
72.16.09.799
72.16.09.653
72.16.09.739
72.16.27.020
72.16.09.805
72.16.27.112
72.16.27.041
72.16.09.176
72.16.27.152
72.16.09.711
72.16.28.072
72.16.28.304
72.16.28.234
72.16.09.558
72.16.09.558
72.16.28.234
72.16.28.234
72.16.28.234
72.16.28.063
72.16.28.028
72.16.28.305
72.16.09.519
72.16.28.228
72.16.28.054
72.16.28.079
72.16.09.244
72.16.09.526
72.16.09.250
72.16.09.676
72.16.09.998
72.16.28.204
72.16.09.677
72.16.09.842
72.16.09.506
72.16.09.817
72.16.28.228
72.16.26.344
72.16.09.822
72.16.09.826
72.16.09.309
72.16.28.225
72.16.09.312
72.16.09.315
72.16.26.347
72.16.09.312
72.16.09.316
72.16.26.360
72.16.26.359
72.16.26.318
72.16.26.355
72.16.28.228
72.16.26.368
72.16.28.258
72.16.28.208
72.16.28.291
72.16.28.217
72.16.28.218
72.16.28.219
72.16.28.221
72.16.28.220

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია
NATIONAL WRESTLING FEDERATION OF GEORGIA

№81

15/06/2020

ქ. თბილისის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია მოგმართავთ თხოვნით, ქ. თბილისის დასახლება აგარაკების ტერიტორიაზე არსებულ შუა მინდვრის ქუჩა ჩიხი 3-ს შეეცვალოს სახელი და დაერქვას გამოჩენილი ქართველი ტიტულოვანი სპორტსმენის, მოჭიდავე კოსტა მაისურაძის სახელი.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის.

პატივისცემით,

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის
პრეზიდენტი

თ. ბოგვერაძე

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა; ტელ.: +995 32 2 293 895; მობ.: +995 595 422 442
49a Chavchavadze Ave., Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 2 293 895; Mob.: +995 595 422 442
geo@unitedworldwrestling.org; www.wrestling.ge; GeoWrestling

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0321166176**
თარიღი: **15/06/2021**
პინი: **6134**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თ. გეგეშიძის 2020 წლის 22 ივლისის საქმე #10/032016749-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის სახელის შეცვლას და კოსტა მაისურაძის სახელის მინიჭებას.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ კოსტა მაისურაძის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კოსტა მაისურაძე

(1881-1918)

ფალავანი, მიღებული ჰქონდა ირანის, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სამახსოვრო ჯილდოები და ქამრები.1910 წელს პირველი ადგილი დაიკავა თბილისში გამართულ დიდ ტურნირში.

დაიბადა ონის რაიონის სოფელ ცხმორში. საჭიდაო სარბიელზე გამოვიდა 1902 წელს. თბილისის ცირკის პატრონმა ნიკიტინმა მოსკოვში წაიყვანა, სადაც მოკლე ხანში კოსტა მაისურაძე დაეუფლა ფრანგული ჭიდაობის ილეთებს. დიდი წარმატებით გამოდიოდა თბილისში, კიევში, პეტერბურგში, გროზნოში, მოსკოვში, კისლოვოდსკში გამართულ შეჯიბრებებში, სადაც მრავალი სახელგანთქმული ფალავანი დაამარცხა, მათ შორის: კლემენტი ბული, „კაზბეკ-გორა“, პაველ ზაგორუიკო, ივანე ზაიკინი, ნიკოლოზ ვახტუროვი, ალიოშა გრამილოვი, გრიგორი კაშჩეევი და სხვა. ბევრჯერ მოიპოვა გამარჯვება საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის: ირანში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუმინეთში და სხვა. მიღებული ჰქონდა ირანის, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სამახსოვრო ჯილდოები და ქამრები. მაისურაძე ჭიდაობის ილეთების იშვიათი მცოდნე იყო. დიდი პოპულარობით სარგებლობდა და კარგი სახელი დატოვა ქართული სპორტის ისტორიაში. კოსტა მაისურაძე იყო ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი. 1910 წელს პირველი ადგილი დაიკავა თბილისში გამართულ დიდ ტურნირში, რომელშიც უცხოელი მოჭიდავეებიც გამოდიოდნენ.

გარდაიცვალა 1918 წელს ქ. ბაქოში ტიფით. მისი დადაკრძალვის ადგილი დღემდე დაუდგენელია.